

ფილოლოგია Philology

თამარ ცოფურაშვილი

ერთი ხელნაწერის წარმომავლობისათვის

43I წელს ეფესოში ჩატარდა III მსოფლიო კრება, რომელმაც განკვეთა კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნესტორი და მისი მოძღვრება მწვალებლობად გამოაცხადა. ამ მოვლენას წინ უძღოდა ხანგრძლივი დაპირისპირება ანტიოქიურ და ალექსანდრიულ ეკლესიებს შორის, რომელიც ზემოხსენებული კრებით დაგვირგვინდა. კირილე ალექსანდრიელი, თეოდოტი ანკვირელი, პროკლე კიზიკიელი, თეოდორიტი კვირელი და თავად ნესტორი – აი, იმ საეკლესიო მოღვაწეთა არასრული სია, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ეფესოს კრებასთან დაკავშირებულ მოვლენებში და, რომელთა თხზულებებმაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს მსოფლიო ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიაში.

რა თქმა უნდა, ეფესოს მსოფლიო კრება ქართული სასულიერო მწერლობის ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა. XII საუკუნეში არსენი იყალთოელს უთარგმნია კირილე ალექსანდრიელის „თარგმანებაჲ შემდგომითი-შემდგომად ათორმეტთა თავთა „ამათთა მაბრალობელთა მიმართ“ და ორი წერილი სუკენსონ დიოკესარიელისადმი („დოგმატიკონი,“ უძველესი რედაქცია S 1463) [10, 64-93]. გარდა ამისა, დოგმატიკონის ერთ-ერთ თავში, რომელიც დიოფიზიტურ ფლორილეგიუმს წარმოადგენს (138გ – 183ჟ), დაცულია აგრეთვე ექსცერპტები სხვადასხვა ავტორთა თხზულებებიდან, რომლებიც ეფესოს კრებას უკავშირდება.

ქართულ ენაზე შემოგვენახა კირილე ალექსანდრიელის XI ჰომილიის ორი თარგმანი (ერთ-ერთი მათგანის მთარგმნელი თეოფილე ხუცესმონაზონია) [11, 37] და აგრეთვე ეფესოს კრების აქტების გვიანდელი, XVIII ს-ის თარგმანები, რომლებიც ანტონი I და ფილიპე ყაითმაზაშვილს შეუსრულებიათ (A 266 და A 618). ისინი თითქმის იდენტურია.

ზემოხსენებული თარგმანების გარდა, ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში დაცულია კიდევ ერთი ხელნაწერი 307 ნომრით, რომელიც თითქმის მთლიანად ეფესოს კრებას ეძღვნება. იგი გვიანდელია, თუმცა ნუსხურითაა შესრულებული. თავნაკლულია. ბოლო სრული სახითაა შემონახული, სადაც მოთავსებული ანდერძი გვაუწყებს: „ალიწერა წიგნი ესე სულთა განმანათლებელი ქალაქსა ტფილისს, ბრძანებითა საქართველოს პატრიარქის, მეფის ძის ან-

ტონი ნეტარისათა კელითა ჩემ ულუანის ჯუის საყდრის დეკანოზის იოანესითა, იანვარს ბ, ქრისტეს აქათ ჩღნა (77 r), ე. ი. ეს ხელნაწერი გადაუწერიათ 1751 წელს ანტონი I ბრძანებით, რომელიც ყოველთვის დიდ დაინტერესებას იჩენდა ეფესოს კრების მიმართ.

ხელნაწერში დაცული პირველი თხზულება (1r-3v), რომელსაც მცირე ნაწილი აკლია, წარმოადგენს ნესტორის მეორე საპასუხო ეპისტოლეს ალექსანდრიის პატრიარქ კირილესადმი [1, 29-32]. ამ უკანასკნელის მიერ შედგენილ დოგმატიკური ხასიათის გზავნილზე 430 წლის თებერვალში. ის თავშეკავებით აბათილებს კირილეს ბრალდებებს და თანხმობისაკენ მოუწოდებს მას.

მეორე წერილი „ეპისტოლე წმიდისა კურილე ალექსანდრიელ მთავარებისკოპოსისა და კერძოთაგან ეგვიპტისათა შეკრებულთა ეპისკოპოსთა ნისტორის მიმართ“ (4r-11v) [5, 105-121]. წარმოადგენს კირილეს სახელგანთქმულ 12 ანათემას, რომელიც მან კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაუგზავნა და რომელმაც განსაკუთრებით დაძაბა ურთიერთობა ამ ორ ეკლესიას შორის.

ეს თხზულება კირილემ დაურთო თავის მესამე წერილს ნესტორისადმი, რომელიც ეგვიპტურმა დელეგაციამ კონსტანტინოპოლში გადასცა ადრესატს 430 წლის ნოემბერში. 12 ანათემა წინასწარგანზრახულად არის გადმოცემული უკომპრომისო ფრაზებით, რის შემდეგაც ნესტორს მხოლოდ ორი გზა რჩებოდა: უარი ეთქვა თავის შეხედულებებზე ან თავი ერეტიკოსად ეცნო. განრისხებულმა ნესტორმა წერილი მაშინვე გადაუგზავნა იოანე ანტიოქიელს, რომელმაც იგი არა მხოლოდ ნესტორის, არამედ მთელი ანტიოქიური ეკლესიის შეურაცხყოფად აღიქვა. მას მაშინვე უპასუხეს ანდრია სამოსატელმა და თეოდორიტი კვირელმა. თუმცა, შემდგომში კირილე იძულებული გახდა, შეერბილებინა თავისი ანათემების ტონი, რათა ურთიერთობა მოენესრიგებინა აღმოსავლელებთან [6, 175-176].

მესამე წერილში – „ეპისტოლე წმიდისა კელესტინე ჰრომთა პაპისა ნესტორის მიმართ“ (11v-18r) [1, 77-83]. ავტორი, რომელიც კირილე ალექსანდრიელის მოკავშირე იყო ნესტორის წინააღმდეგ, კიცხავს კონსტანტინოპოლის პატრიარქს და ამ უკანასკნელისაგან მოითხოვს, უარი თქვას თავის მცდარ შეხედულებებზე.

მეოთხე ნაწარმოები – „სალმრთოდ წიგნი მეფეთა, რომელი წარეცა ალექსანდრიას კურილეს მიმართ მთავარებისკოპოსისა და ქუეყანითი ქუეყანად კათალიკოსთა მიმართ და ეპისკოპოსთა“ (18v-22v) ორი ნაწილისაგან შედგება. მეორე ნაწილს ცალკე სათაური აქვს: „ესე ზემოწერილი ეპისტოლე მიწერეს მეფეთა წმიდათა მამათა მიმართ, რაფთა შემოკრბენ ეფესოს, ხოლო მეორე ესე რაფაჟამს

შემოკრბეს ეფესოდ და ეგულებოდა დაჯდომამ წმიდა კრებასა, მაშინ წარმოსცეს ღმრთისმსახურთა მეფეთა, რომელსა წერილ იყო სახე ესევითარი“ (20r-22v) [1, 114-116].

შემდეგი ეპისტოლე: „წმიდისა მსოფლიოსა ეფესოსა კრები-საგან ნისტორის განკუჭთისათჳს წიგნი მიწერილი ღმრთისმსახურთა მეფეთა მიმართ თევდოსისა და უაღლენტინიანესა“ (22v-25v) [2, 3-5], წარმოადგენს ერთგვარ ანგარიშს. როგორც ცნობილია, თეოდოსი II უკიდურესად უკმაყოფილო იყო ეფესოში განვითარებული მოვლენებით, ამიტომ კრება იძულებული გახდა თავი ემართლებინა მის წინაშე.

HH 307-ის მეექვსე თხზულება კირილე ალექსანდრიელის ცნობილი მეოთხე შომილიაა, სათაურით: „თქმული წმიდისა კკრილე ალექსანდრიელისა ნისტორის მიმართ, ოდეს-იგი შთამოვიდეს შჯდნი ეპისკოპოსნი ეკლესიასა წმიდასა მარიამისსა“ (25v-28v) [5, 992-996]. მისი ავთენტურობის საკითხი დიდი ხნის განმავლობაში იდგა ეჭვქვეშ, თუმცა მეცნიერთა ბოლოდროინდელმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ ის ნამდვილად ალექსანდრიის პატრიარქის კალამს ეკუთვნის [7, 219].

შემდეგი თხზულება: „თქმული წმიდისა კკრილე ალექსანდრიელ მთავარებისკოპოსისა იოანეს მიმართ ანტიოქიელ მთავარეპისკოპოსისა“ (28v-31r) [5, 1001-1005]. უშუალოდ ეფესოს კრების პერიოდში შეიქმნა. ამ ეპისტოლეში კირილე უკმაყოფილებას გამოხატავს ადრესატისადმი, რადგან ეს უკანასკნელი ნესტორის ერთ-ერთი მხარდამჭერი იყო.

შემდეგ ნაწარმოებებს ეწოდება: „თქმული წმიდისა პროკლე ეპისკოპოსისა, რომელი-ესე თქუა დიდსა ეკლესიასა შინა კონსტანტინოპოლისა სასმენელად ნისტორ მწვალებელისა, ჯდა რად იგი მუნ, შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი“ (31r-35v) [1, 103-107]. ამ ნაწარმოების ავტორია პროკლე კიზიკიელი, შემდგომში კონსტანტინოპოლის პატრიარქი. როდესაც მრავალი წლის შემდეგ ნესტორი იხსენებდა დაპირისპირებას ტერმინ „ღმრთისმშობელთან“ დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ თუ არა ორი ფაქტორი, კერძოდ, ამბიციები მათი, რომელთაც პრეტენზიები ჰქონდათ მარკოზის ტახტზე და აგრეთვე „ალექსანდრიული სამღვდელოების“ ჩარევა, პრობლემა სრულიად მშვიდად მოგვარდებოდა კონსტანტინეპოლშივე. პირველ ფაქტორს წარმოადგენდა პროკლე, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი ადგილობრივი კანდიდატი იყო პრეტენზიებით საპატრიარქო ტახტზე, ხოლო მეორეს – კირილე ალექსანდრიელი, რომელიც უკვე დამკვიდრებული ტრადიციისა-მებრ ფხიზლად ადევნებდა თვალს კონსტანტინეპოლში გან-

ვითარებულ მოვლენებს. სავარაუდოდ 430 წლის ნოემბერში, ნესტორთან დაახლოებულმა მღვდელმა ანასტასიმ, რომელიც მას ანტი-ოქიიდან წამოჰყვია, დიდ ეკლესიაში წაიკითხა ქადაგება, სადაც ამჟამად გაილაშქრა ტერმინ „ღმრთისმშობლის“ წინააღმდეგ. შედეგმა არ დააყოვნა. 26 დეკემბერს, ე. წ. „ქალწულობის დღესასწაულზე“, რომელიც ცოტა ხნით ადრე დაწესდა, პროკლე წარმოთქვა ზემოხსენებული ჰომილია ღმრთისმშობლის შესახებ. ამ გამოსვლას ესწრებოდნენ ნესტორი და, უეჭველია, სასახლის კარის ქალბატონები. ნესტორის სამწუხაროდ, მსმენელები დიდი მონონებით შეხვდნენ ამ ქადაგებას [7, 33-46].

შემდეგი ორი თხზულება წარმოადგენს თეოდოტი ანკვირელის ჰომილიებს. პირველ მათგანს ეწოდება „თქმული წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩვენისა თეოდოტი ანკვირელ ეპისკოპოსისა შობისათვის მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესისა, რომელი-ესე წარიკითხა კრებასა ზედა ეფესოსისა, წინაშე წმიდისა კვირლე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა“ (35V-44r) [5, 1369-1385]. და „თქმული მისივე წმიდისა მამისა ჩვენისა თეოდოტი ანკვირელ ეპისკოპოსისა, რომელი-ესე თქუა დღესასწაულსა მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტეს შობისასა კრებასა ზედა ეფესოსისა წინაშე წმიდისა კვირლესისა“ (44V-55V) [7, 1349-1369].

როგორც სათაურებიც ადასტურებენ, ეს ჰომილიები მას კრებაზე წარმოუთქვამს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თეოდოტი ანკვირელი აკაკი მელიტინელთან ერთად ეკლესიის კრებაზე გაემგზავრა, როგორც ნესტორის მხარდამჭერი, თუმცა ამ უკანასკნელს ორივენი მალევე განუდგნენ, მოისმინეს რა მისი მკრეხელური სიტყვები იესუსა და ღმრთისმშობლის შესახებ, რომ: შეუძლებელია ღმერთის გაჩენა და რძით კვება ქალწულის მიერ და, რომ ორისამი თვის ჩვილი არ შეიძლება საუბრობდეს, როგორც ღმერთი. სწორედ თეოდოტი ანკვირელი აღმოჩნდა ის პიროვნება, რომელიც კრების პირველსავე სხდომაზე გამოვიდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის წინააღმდეგ და დაადასტურა, რომ ნესტორი კვლავ თავის ერეტიკულ შეხედულებებს იცავდა.

აქ მთავრდება უშუალოდ ეფესოს კრებასთან დაკავშირებული მასალები. ხელნაწერის შემდეგი თხზულებებია: I, „აღსაარება და უწყება და სასწაული მართლისა სარწმუნოებისა და წმიდათა კრებთათჳს, რომელთა დაამტკიცნეს მართალი სარწმუნოება, რომელი-ესე ჯერ არს ყოველთა ქრისტიანეთათჳს, რაათა კეთილად და გამოწულილთ ბედნიერ იყუნენ“ (56r), 2. „წმიდისა ფოტი პატრიარქისა აღწერილი“ (56r-61v) და 3. „ესე უკუჴ კრებანი იქმნნეს უწინარეს ნიკიის კრებისა“ (61v-65r), რომელთაც ქვემოთ უფრო დანვრილებით შევხებით.

ხელნაწერის ბოლოს ერთი გვერდი გამოტოვებულია, რაც იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ გადამწერს თემატურად გაერთიანებული, მსოფლიო კრებებთან, პირველ რიგში კი ეფესოს კრებასთან დაკავშირებული ტექსტი დაუმთავრებია და მომდევნო სულ ბოლო თარგმანისაგან გაუმიჯნავს. ეს უკანასკნელი ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ ბასილი დიდის ჰომილიას („ნათლისღებისათვის“) წარმოადგენს და განცალკევებით დგას სხვა თხზულებებისაგან.

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოცემული ხელნაწერი ძირითადად ეფესოს კრებასთან დაკავშირებულ თხზულებებს მოიცავს. როგორც ცნობილია, ეფესოს კრება პირველი კრებაა, რომლის სტენოგრამაც არსებობს. იგი განკუთვნილი იყო იმპერატორ თეოდოსისათვის, რომელიც სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული კრების მიმდინარეობით. შესაბამისად, მასალა მეტად დიდი მიცულობისაა. მთარგმნელს ძირითადად შეურჩევია კრებამდელი ეპისტოლეები და კრების აქტების ნაწილი. არ არის გამორიცხული, რომ იგი შემდგომში დანარჩენი მასალების თარგმნასაც აპირებდა.

როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერს ახლავს ანდერძი, მაგრამ მთარგმნელის ვინაობა დასახელებული არ არის. თუმცა ხელნაწერზე თვალის ერთი გადავლებაც კი გვიჩვენებს, რომ იგი საკმაოდ ძველია და ანტონის მთარგმნელობითი სკოლის პროდუქტს არ წარმოადგენს. ყველა ეს თხზულება მოგვიანებით ანტონისა და ფილიპე ყაითმაზაშვილს შეუტანიათ AA 266-ში, სადაც თხზულებებს გარკვეული ცვლილებები განუცდიათ, რაც, პირველ რიგში მათი ენობრივი ნორმების ანტონისეულ ნორმებთან მისადაგებაში გამოიხატა.

იმისთვის, რომ ხელნაწერის სიძველე უკეთ წარმოჩინდეს, ქვემოთ გთავაზობთ H 307-ის ენობრივი ნორმების მოკლე მიმოხილვას, აგრეთვე პარალელურ ფორმებს უკვე ანტონის მიერ რედაქტირებული ტექსტიდან:

ფონეტიკა

H 307 გვაქვს უ, რომელიც ანტონს შეუცვლია ვ-ინით :

შუენის 71	ჰშვენის 31R
სიყუარული 28v	სიყვარული 132v
მარჯუენით 2v	მარჯვენით 24v
თქუენტუს 2v	თქვენტუს 24v

ხდება პირიქითაც :

შვა 2r	შუა 24r
შეცვალა 26r	შესცვალა 104r
ეგრეთვე 7v	ეგრეთუშ 31r
თავს იღვა 9v	თავს-იღვა 32r

H 307-ში არსებული ავ-თემისნიშნისანი ზმნების **ვ**-ინი AA 266-ში ყველგან უმარცვლო **უ**-ით შეუცვლიათ :

ზრახვად 10r	ზრახუა 32v
ზრუნვად 12r	ზრუნუა 27r
ტანჯვად 27r	ტანჯუად 104r
ლელვათა 26r	ლელუათა 104r

H 307-ში **ხ**-ანისა და **ჭ**-არის აღრევის არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, მაშინ როდესაც A 266-ისათვის ეს ტიპიურია:

გარდამოკდა 6r	გარდამოხდა 30v
ეკმარების 12r	ეხმარების 27r
დაგუქსნი 24v	დაგუხსნი 132v
მოიკსენა 26r	მოიხსენა 104r

H 307-ის ასიმილირებულ ფორმებში (მჯ, მჭ) A266-ის რედაქტორს **შ** ყველგან **ს**-თი შეუცვლია და ზოგჯერ **ჭ**-ც ჩაუმატებია:

განშჯად 5v	განჰსჯად 30v
შჯულისა 7r	ჰსჯულისა 31r
შჭამოთ 8r	სჭამოთ 31v

მორფოლოგია

პირველი სუბიექტური პირის ნიშან **ვ**-ს, რომელიც H 307-ში ყველგან სწორადაა გამოყენებული, A 266-ში ხშირად უმარცვლო **უ** ან **ვ** ენაცვლება:

ალვადგინო 2r	ალუადგინო 24v
ალვიარებთ 6r	ალვარებთ 30v

H 307-ში, განსხვავებით A 266-ისაგან, **უ**-ს წინ არ ჩანს I სუბიექტური პირის **ვ**: რად იგი ვილოცოთ შენთვს, არა უწყით 13r (ვუნწყით 27v).

მიუხედავად იმისა, რომ ანტონის სკოლის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი ზედმეტი **ჭ**-სა და **ს**-ს დამატებაა (ამ საკითხს ქვემოთ კიდევ შევეხებით), H 307-ში დადასტურებული II სუბიექტური პირის ნიშანი A 266-ში თითქმის ყველგან ამოუღიათ:

ჰსუათ 8r	სუათ 31v
შეჰრევი 13r	შერევი 27v
ჰგულარძნიდი 13v	გულარძნიდი 27v
ჰხედევი 27r	ხედევი 104r

საინტერესოა H 307-ში არსებული ფორმა მოკუჰჴდ (27r), რომელიც A 266-ში მოხვედ-ით შეუცვლიათ.

H 307-ში არსებული – გუაც ფორმისათვის A 266-ში III სუბიექტური პირის ს დაუმატებით:

თანაგუაც 12v	თანა-გუაცს 27v
თანაგუაც 12v	თანა-გუაცს 27v

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ძველი ფორმა, რომელიც A 266-ის რედაქტორს შეუსწორებია:

შვეს ძე და უწოდიან 27 რ (უწოდონ 104 რ) სახელი მისი ევმანოელ.

H 307-ში ყველგან არის წარმოდგენილი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის -ენ სუფიქსი, რომელიც A 266-ში თითქმის უკლებლივ შეუნარჩუნებიათ იშვიათი გამონაკლისების გარდა (მაგ. წიგნნი... მომიძღუანა 12v (მომიძღუანა 27v), თუმცა H 307-ში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ობიექტი ებ-იანი მრავლობითითაა გადმოცემული. რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ შემთხვევაში ზმნაში ენ- სუფიქსი არ ჩანს, A 266-ის რედაქტორს კი მათი სხვა ნარიანი მრავლობითის ფორმებთან უნიფიცირება მოუხდენია:

იხილეს პირები ერთმანერთისაჲ 28v
იხილნეს პირები ერთმანერთისაჲ 132v
წყალმან მრავალმან დაფარის ზღუღბი 3v
წყალმან მრავალმან დაფარნის ზღუღბი 24v

A 266-ში, განსხვავებით H 307-საგან ხშირია ფორმები, სადაც ზედმეტი ჰ ან ს, ან ორივე ერთად გვხვდება. ეს შეეხება უპირო ფორმებსაც.

ვთქუ I r	ვსთქუ 24r
წამა 5r	ჰსწამა 30r
გულისჴმავყოფთ 8v	გულისჴმავჴყოფთ 31v
ქადაგებენ 26r	ჴქადაგებენ 100v
სწორება 7r	ჴსწორება 31r
მწვალებელთა 3r	მსწვალებელთა 24v
რწმუნებულისა 13v	ჴრწმუნებულისა 27v

ყველაზე უკეთ H 307-ში დაცული ტექსტის სიძველეს **ოდ-იან** და **დ-ონიან** ზმნათა წყვეტილისა და I კავშირებითის ფორმები ადასტურებენ. როგორც მოსალოდნელი იყო, H 307-ში **ოდ-იან** ზმნებში წყვეტილში ყველგან **ე** გვაქვს, ხოლო I კავშირებითში **ი**. A 266-ში ეს ფორმები თანმიმდევრულადაა ჩასწორებული. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს :

წყვეტილი

რომლისა მიერ სიკუდილსა მივეცემოდეთ 10r (მივეცემოდით 32r)
ულმობელობაა უპირული შეიმოსე და უკეთურებითა იქადოდე 28r (იქადოდე 104v).

I კავშირებითი

რათა ეწოდებოდის (ეწოდებოდეს 24r) წმიდასა ქალწულსა 2r
რათა გუშწინოდის 28 r (გუშწინოდეს 104v) და ვძრწოდით (ვძრწოდით 104v) და ვჰმონებდეთ და ვჰმსახურებდეთ 28r
მადლობას შევსწირვიდეთ მაცხოვარსა და ვიტყოდით 29v (ვიტყოდით 132v)

H 307-ში, A 266-საგან განსხვავებით ყველგან შენარჩუნებულია სლვა, ისევე როგორც კლვა:

მოსლვასა 6r	მოსულასა 30v
მოსლვაი 29r	მოსულა 132v
მკლველობა 26r	მკულელობა 104r

H 307-ში არსებული ფორმა **სიკუდიდმდე** IV A 266-ში ჩანაცვლებულია ფორმით **სიკუდილამდე** 24r

ლექსიკა

H 307- ში, როგორც წესი, გვხვდება **აღსაარება**, რომელიც A 266-ში ყველგან **აღსარებით** შეუცვლიათ:

აღსაარებაი 3r	აღსარება 24v
აღსაარებასა 5v	აღსარებასა 30v

H 307-ში გვაქვს **მლდელი**, A 266-ში **მლუდელი**, რაც ძველი ქართული სათვის უცხოა, მაგრამ ჩვეულებრივია ანტონის სკოლისათვის:

თანამლდელი 4v	თანამლუდელი 30r
მლდელი 5r	მლუდელი 30r

H 307-ში არსებული **ვინაითგან** და **მიერთგან** A 266-ში ყველგან შეცვლილია :

ვინაიფთგან 1V	ვინაიფდგან 24R
ვინაიფთგან 4R	ვინაიფდგან 30R
მიერიფთგან 4V	მიერიფდგან 30R

H 307-ში ყველგან გვაქვს ფორმა **უნებლიაიფთ**, რომელიც A 266-ში **უნებლიეფთ**-ად ქცეულა:

უნებლიაიფთ 12V	უნებლიეფთ 27V
უნებლიაიფთ 26V	უნებლიეფთ 104R

H 307-ში არსებული **განგურიფნა** IIR, A 266-ში **განგმირნა** 27 R ფორმით შეუცვლიათ.

საინტერესოა ერთი ფორმა, რომელიც A 266-ში გვხვდება. H 307-ში არსებული წინადადების „მწყობრი ქალწულთა მიუფებს“ 27V ნაცვლად A 266-ში გვაქვს „მწყობრი ქალწულთა ჰმეფაობს“ 104V, ე.ი. ზმნის სახელური ფუძეა არა **მიუფეფ**, როგორც H 307-ში, არამედ **მეფა**, ვინაიდან მდედრობითი სქესის წარმომადგენლები იგულ-ისხმებიან [3, 84].

და მაინც, განსაკუთრებით დიდი ცვლილება საკუთარ სახელებს განუცდიათ :

კურილე 4R	კირილოსის 29V
ნისტორის4R	ნესტორიოსის 29V
კელესტინე 11V	კელესტინოს 27R
ანკურელ 35R	ანკირელისა 73V
ანტიოხოზ 12V	ანტიოხოს 27V
ესაიას 27R	ისაიას 104R

ზემოსხენებულის გარდა H 307-ში ბევრი ისეთი ფორმაა, რომელიც აშკარად მიუთითებს ტექსტის სიძველეზე და რომლებიც AA 266-ის რედაქტორს უცვლელად დაუტოვებია. ასეთებია ფორმები – იეს დაბოლოებით: აღგკწერიეს 5V, გგონიეს 2V; ვსძლოთ 29V, სძლო 30R; ენ- სუფიქსიანი ვნებითები: განლაღნა, განცოფნა 26V, დამ- შკდნა 11V და ა.შ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ H 307- ში სპორადულად მაინც გვხვდება გვიანდელი ფორმები (მაგ. იტყვის 3R, ვიტყვით 6V), თუმცა ისინი იმდენად იშვიათია, რომ გადამწერის შეცდომებად უნდა ჩაითვალოს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ზმნა თქუმა. ტექსტში გვხვდება როგორც თქმა (თქმული 25V, თქმული 28V), ისევე თქუმა (თქუმად 13R, თქუმად 26V, თქუმულთა 9R) ფორმები. ტექსტს აგრეთვე ახასიათებს იოტამეტობა (სიტყუფსა 7R, გულისჯ- მაფყოფთ 7R), რაც ალბათ ისევ გადამწერს უნდა უკავშირდებოდეს.

ზემოთ ნაჩვენები ფორმების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ H 307-ში დაცული თხზულებები ნათარგმნი უნდა იყოს არა-უგვიანეს XI საუკუნისა [8, 294-301, 414-421, 441-447, 460, 481-486]. ანტონის ხელთ ჰქონია ხელნაწერი, რომლის ლირებულებაც კარგად იცოდა, ამიტომ გადაანერინა ის და ოცდახუთი წლის შემდეგ (HH 307 გადაწერილია 1751 წელს, მაშინ როდესაც A 266-ში დაცული თხზულებების თარგმნის თარიღად ანდერძში 1776 წელი სახელდება), როდესაც მან და ფილიპე ყაითმაზაშვილმა სომხურიდან თარგმნეს ეფესოს კრების აქტები, H 307-ში დაცული მასალა, რა თქმა უნდა, მათთვის მისაღებ გრამატიკულ ნორმებს მისადაგებული, მთლიანად შეიტანეს A 266-ში (A 266-ში ასევე შეუტანიათ არსენი იყალთოელის მიერ თარგმნილი კირილე ალექსანდრიელის „თარგმანებაჲ შემდგომითი-შემდგომად ათორმეტთა თავთაჲ ამათთა მაბრალობელთა მიმართ“) [10, 206].

ბუნებრივია, ისმება კითხვა, ვის უნდა ეთარგმნა ეს არცთუ ისე მცირე მოცულობის კრებული?

გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ მას ეთარგმნია „ნიგნი მეექუსისა კრებისა, ეპისტოლენი წმიდისა კურილესნი და სხუათა წმიდათა მამათანი განკუეთისათჳს ნისტორ უსჯულოსა“ [12, 147]. ამის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „გიორგის ბიოგრაფს შეცდომა მოუვიდა და ექვთიმეს შრომა გიორგის მიაწერა, თუ არა და საქმე ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ბიოგრაფის სიტყვით, გიორგიმ თარგმნა „ნიგნი მეექუსისა კრებისა, ეპისტოლენი წმიდისა კურილესნი და სხუათა წმიდათა მამათა განკუეთისათჳს ნისტორ უსჯულოსა“. შესაძლებელია, აქ იგულისხმებოდეს ერთი თხზულება, სახელდობრ, იმ კრების ნიგნი, რომელშიც აღნიშნული ეპისტოლენი იყო მოავსებული, ე.ი. მესამისა. იქნებ ხელნაწერში მესამის აღსანიშნავად იყო ასომთავრული Ⴎ, რომელიც გადამწერს ასომთავრულსავე Ⴎ-სთან აერია და აქედან წარმოდგა მესამის მაგიერ მეექვსე“ [4, 209].

მართლაც, როგორც კ. კეკელიძე ვარაუდობს, გიორგის ბიოგრაფის ცნობა უნდა შეეხებოდეს არა მეექვსე, არამედ მესამე კრებას, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს ფრაზიდან: „ეპისტოლენი წმიდისა კურილესნი და სხუათა წმიდათა მამათანი განკუეთისათჳს ნისტორ უსჯულოსა“. ბევრად უფრო მოსალოდნელია, გადამწერს არეოდა ორი ასო, ვიდრე მთელი წინადადება, თანაც არასწორი, თავისით დაემატებინა. ჩვენი აზრით, H 307 სწორედ გიორგი მთაწმიდლის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. ამ ვერსიის სასარგებლოდ შემდეგი არგუმენტები მეტყველებს:

1. კრებულის უმეტესი ნაწილი სწორედ ეპისტოლეებია (ნეს-

მიერ მეფენი მეფობენ, რომლისა მიერ მკუდარნი აღდგებიან თანაშენევენითა წმიდისა სამებისათა, და ვინ შემძლებელ არს კაცთაგანი გამოთქუმად, გინა დიდებად მრავალსაგალობელსა მარიამს?“ (26r) ან „რამეთუ ამიერითგან შენდა მომართ არს სიტყუაჲ ჩუენი, რომელსა-ეგე ზუაობით აღგიმალლებიან ნარბნი ყოველთა ზედა, რომელი ეგე კერძოთაგან აღმოსავლეთისათა მოსრულხარ. უკუეთუ ყოველნი ჩუენ ყოველთა მაცხოვრისა იესუ ქრისტეს მსახურნი ვართ და ქადაგებთა მისთა მსახურება“ რწმუნებულ არს ჩუენდა, რად არა ყოველნი ვართ მის თანა და რადასათჳს არა ვზრახავთ მისსა?“ (29r).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ H 307-ში დაცული თხზულებები გიორგი ათონელს უთარგმნია. ანტონი I-ს, რომელიც ქართული საეკლესიო მწერლობის დიდი მცოდნე და დამფასებელი იყო, ჯერ გადაუნერინებია ტექსტი, ხოლო შემდეგ ეფესოს კრების მასალებშიც ჩაურთავს გარკვეული შესწორებებით. სწორედ ანტონის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ თარგმანმა ჩვენამდე მოაღწია.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ACTA CONCILIORUM OECUMENICORUM, Edidit E.Schwartz, 111, Berolini et Lipsiae, MDCCCCXXVII.
2. ACTA CONCILIORUM OECUMENICORUM, Edidit E.Schwartz, 113, Berolini et Lipsiae, MDCCCCXXVIII.
3. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
4. კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1951.
5. Patrologia Graecae, ed. J. P. Migne, 77.
6. Поснов М. Э. История Христианской церкви, Брюссель, 1964.
7. Russel N., Cyril of Alexandria, London and New York, 2000.
8. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
9. Дьяния вселенскихъ соборов, Т. I, Казань, 1859.
10. ა. ჩანტლაძე, ანტინესტორიანული ტრაქტატები არსენი ვაჩესძის „დოგმატიკონში“ თბ., 1997.
12. თ. ცოფურაშვილი, კირილე ალექსანდრიელის XI ჰომილიის ორი ქართული თარგმანი, რელიგია, 1-2-3, 2001.
13. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967.

Thamar Tsopurashvili

On the Origin of One Manuscript

Summary

In Georgian language we have many translations of the Works connected with the Council of Ephesus. Manuscript H 307 is among them and is almost wholly dedicated to the materials of the Council of Ephesus. It was rewritten in 1571 by the order of Antoni the I.

There are the works by Cyril of Alexandria, Theodotus of Ancyra, Celestine the Pope, Proclus of Cyzicus and Nestorius in this manuscript. Also the Symbol of Constantinople, "Written by St. Photius the Patriarch" and "These councils had been before the Council of Nicaea". At the end of the MS a page is left out, in view of the fact, that this last work belonging to Basil the Great is isolated from others and stands separately.

The name of the translator is not mentioned, but giving a glance at the MS shows, that it is old and is not the product of Antoni's Translator School. Afterwards, Antoni and Philippe Kaitmazashvili included these Works in A 266, which mainly consists of the Acts of the Council of Ephesus translated from Armenian.

The linguistic analysis of H 307 confirms that it could not be translated later than XI c. Naturally, the question of translator arises. In our opinion, the translation belongs to Giorgi Mtatsmindeli. This version is confirmed with some arguments: the biographer of Giorgi gives us the information, that the latter translated the epistles of Cyril of Alexandria and other St. Fathers about deposing Nestorius, although indicates the number of Council incorrectly. H 307 contains the translated materials before and during the Council of Ephesus, which coincides with the information of the biographer of Giorgi; The last part of the manuscript is the translation made by Giorgi Mtatsmindeli, which was preserved in A 584; In H 307 we have the Symbol of Constantinople (56r) translated by Giorgi Mtatsmideli, while the Symbol of Nicaea (5v) is preserved in one of the Works by Cyril of Alexandria. If we compare them with each other, we make Sure, that they belong to the pen of the same translator.

Thus, according to above-mentioned, we may come to a conclusion, that Antoni the I having the translation of Giorgi Mtatsmideli, included it in the Acts of the Council of Ephesus with a few corrections.